№01/16
14.06.2022წ.

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტოს
უფროსის დროებით ფუნქციების
შემსრულებელს

ბატონ თეიმურაზ მთივლიშვილი

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ ჩვენი №01/11 (10/06/2022) წერილით (სააგენტოში შემოსული №2266) წარმოდგენილი იქნა ქ.ბათუმში, ადლიის დასახლებაში საკვები მცენარეული ზეთების ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის შესახებ სკრინინგის ანგარიში, რომელშიც დაზუსტებული და ასახული იქნა დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, თქვენი № 21/1495 (05/05/2022) წერილში მოცემული შენიშვნების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულ სკრინინგის ანგარიშში დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა, ამიტომ გთხოვთ შეწყვიტოთ ჩვენი №01/11 (10/06/2022) წერილით (სააგენტოში შემოსული №2266) წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

ტექნიკური ხარვეზის შესწორების შემდგომ (შესწორდა სანთურის საწვავად გამოყენებული სათბობის შესახებ ჩანაწერი) წარმოგიდგენთ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შედგენილ და თქვენი № 21/1495 (05/05/2022) წერილის მიხედვით შესწორებულ სკრინინგის განცხადებას ქ. ბათუში, ადლიას (კახაბერი) დასახლებაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი:№05.32.06.188) განთავსებულ შენობა-ნაგებობებში საკვები მცენარეული ზეთების ნარჩენების გადამუშავების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით.

გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი: 1. ქ.ბათუში, ადლიას (კახაბერი) დასახლებაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი:№05.32.06.188) განთავსებულ შენობა-ნაგებობებში საკვები მცენარეული ზეთების ნარჩენების გადამუშავების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიში.

პატივისცემით,

ოდჯალ ექრემი

შ.პ.ს. „გრინლაითჯორჯია"-ს დირექტორი

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
-14- 06 2022 წ.
№ 2342